

მწყმესი



მე ვარ მწყმესი კვილი: მწყმესმან კვილიმან სული თვისი დასდვის ცხოვართთვის. (იოან. 10—11).
გპოვე ცხოვარი ჩემი წარწმეღელი. ესრეთ იყოს სიზარული ცაოა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
მოკველით ჩემდა ყოველნი მასურაღნი და ტვირთ-მპიშენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 11

1883—1895

1—15 ივნისს.

თამარ დიდი და მისი სახელწოდება.

ყოველმა ქართველმა ადამიანმა, თავის წარსულში თვალ-ჩანებულმა და წინანდელი ავლადიდების მკოდნემ თუ უტკოდინარმა, ყველამ კარგად იცის თამარ მეფის ღვაწლი და ღირსება. ეინ არის ისეთი ჩამორჩენილი, რომ თუ სრულად-არა მტირეოდნად მაინც არ ჰქონდეს გათვალისწინებული ამ უძვირფასესი ადამიანის დიადი მოღვაწეობა. ყოველი ქართველის გულში მას აგებული აქვს საუკუნო სახსოვარი ძეგლი, რომელსაც ევრაეითარი განზრანვა ვერ შელანავს და ევრაეის მამობელი სიტყვა ვერ მიეკარება. მაგრამ ამას წინად აღიძრა ბაასი თამარ-მეფის

წმინდანობაზე, და ერთმა პირმა ეს საეკუოდ მიიჩნია. ერთი და ორი პირის ექვის შესახებ არც კი ღირდა ხმის გამოღება, რადგან დანარჩენ ყველასათვის ცხადია ერის საერთო რწმუნება, მაგრამ რადგანაც განისმა ხმა თამარის წმინდანობის ექვიანობაზე, ამისათვის საჭიროა ამაზედ პასუხიც გაცემულიყო. ამასთანავე ქართველ საზოგადოების გარდა რუსეთის საზოგადოების ზოგიერთა პირებმაც მოიწადინეს ამავე კითხვის გამორკვევა, რომლის შესახებ არა ერთა წერილი მიგვიღია რუსეთიდან *). ამის შესახებ ჩვენი აზრის გამოთქმამდე მოვიყვანთ უკვე დაბეჭდილს „ივე“

*) ამ ის შესახებ რუსულ გამოცემაში კიდევაც იყო დაბეჭდილი წერილი და ქართულში კი არ ვრაცხდით საჭიროდ ამაზედ პასის გამართვას, რადგანაც არავინ გამგულდობა ამაზედ ექვის შემოტანის.





რის მე 116 №-ში ივერეილის წერილს, რომელში-
დაც ბერი საფუძვლიანი მოსაზრება და კარგადკ
არის გარკვეული ეს საკამათო კითხვა. ამ ქვამდ,
დიდის საამაოენებით ებეჭდავთ ზემოსხენებული სა-
თაურით იმ წერილს:

„მართალია, მძინველს ძრახვა
თვით-კი ბეად მოუნდების,
მაგრამ ფარვა სიავისა
ქვეყნას არ მოუნდების“.

დ. გურამიშვილი.

სხვა ტომთა ისტორიაში იშვიათად შეხედებით
იმ-სთანა ზარავენდელით მოსილს გვირგვინოსანს,
რომელსაც თვისს გარვემოა შევერთებინოს წარსულის
და მომავლის დროის გარდმოცემანი, ყველა კარგი
ქართველთა ცხოვრებისა ერთად ავიწყოს, სამუდამოდ
მოგზოვებინოს შთამომავალთა გულში უსაზღვრო
სიყვარული, და მასთან ისეთი სპეტაკი და უნაკლებო
იყოს, როგორც იყო

„თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვე-
ნიერი,

პოეზიისა ერის გულში სსივით მორთული,
ივერისა ძეთ დიდება და სიყვარული“ (ვახ. ორბელ.)

აღტაყებელი თამარის ღვაწლ-შემოსილის სახე-
ლით თანამედროვე მემბტიანეამ სიტყვებით განმარტავს
მი ს მნიშვნელობას: „უდიდესთა საქმეთა საღმრთოთა,
ამბოზს-ქართლის ცხოვრება, რომელთა მოთხრობა
შეუძლებელ არს, არა ჩვენ მიერ, არამედ უკეთესუკა
შეკრბეს ბრძენნი ყოვლისა სოფლისანი, ჯეროვანად
ხელ-ჰყოფენ დუმილსა, ვერ მიწოდისათვის სიტყვით
გამათქმალ საქმეთა თამარისათა“¹⁾.

თამარის მოგონება რაღაც ზეციურის სიხარულით
ავსებ გულს. მისს მამობობას სახელს ჩვენ, ქართლო-
სიანთა, მაწიწებით და კრძალვით უნდა ვხსენებდეთ.
ეოლიდან თამარის სახელზედ უძვირფასესი სახელი,
ჩვენ არა გვაქვს. «თამარს უნდა თაყვანს-ვისცემდეთ,

როგორც ამბობს პოეტი გრიგოლ ორბელიანი, და
ცრემლ-მორეული ვეძთხუოდეთ ფურათა». თამარი
არის დიდება ჩვენის ქვეყნისა, მისის მკობადის სასოება
იგი არის წმინდა-წმინდათა, რომლის სახელის შეხლა-
ლვას ყოვლად მომთმინო ქართველი ერი ვერ აიტანს.
აი ამიტომაც ჩვენ ძალიან გავაკვირვა და მწარე
ფაქრებიც მოგვევარა თამარის წმიდანობაზედ გამაწვე-
ულმა ბაასმა.

საექსარხოსოს სასულიერო მანარებლში (Духов.
Вѣст. Грузин. Мѣсярх. 1895 г., № 3) პატი-
ეცემულმა დეკანოზმა მ. გიორგი ბელიძემ აღძრა
კითხვა თამარის წმიდანობის შესახებ და იმის სახელ-
წოდებისა. მ. გ. ბელიძეს ის დასკვნა გამოჰყავს: 1)
რომ თამარი წმიდანი არ იყო, იქნება თვისს სახელ-
წოდებას დღესასწაულობდა აღდგომის მესამე კვირია-
კეს (მენელ-საცხებელთა), როდესაც ჩვენი ეკლესია
იხსენიებს დღით მოავარს სამარხს, რომლის სა-
ხელიც, თამარ დედოფლისათვის დაურქმევიათა და
შემდეგ ეს ორი სახელა ერთმანეთში აურევათა; 2)
თამარის სახელზედ არც ერთი ეკლესია ანუ სამწი-
რეელო არ მოიპოვება საქართველოში; 3) დაბეჯი-
თებით არც-უი ვიცით, სად არის იგი დასაფლავე-
ბული და სხე..

ბნ ა. ს. ხანანაშვილმა თამარის შესახებ დაწე-
რილს წერილში, («ივერია» 1895 წ. № 75) საკ-
მაოდ განმარტა წმიდათა შერიცხვის წესი აღმოსავ-
ლეთისა და დასავლეთის ეკლესიებში. შესესებლად
თამარზედ ნათქვამისა, აქ, ჩვენ მხოლოდ ორიოდ
მოსაზრება გვსურს წარმოგისტყვათ. კანონიზაცია
(canonisatio) წმიდათა ჩვენმა ეკლესიამ მიიღო სახე-
რძნითიდან, მაგრამ იქაც მე-XI საუკუნემდე ეს სა-
ქმე ჯეროვანად არ იყო გამორკვეული. მაშინაც და
ცხლაც აღმოსავლეთის ეკლესიებში საზოგადოდ
ცნობილი წმიდანები ცოტანი იყვნენ, ადგილობრივის
წმიდანების რიცხვიც მრავალი. ჩვენ შიაც, როგორც
საბერძნეთში, არ ყოფილა მოწვეული საგანგებო
კრება კანონიზაციისათვის. რუსეთშიაც ამგვარი კრება

1) ქართ.-ცხოვ. ნაწ. I, გვ. 310.

ბოლოდ მიტროპოლიტ მაკარის²⁾ დროს მოხდა (1547—1549 წწ.). დაყოფილის და დანაწილებულს საქართველოს ცოტა ჰყავდა საზოგადო წმიდანნი, სამაგიეროდ თითქმის ყველა მასწავს, საეპისკოპოსო და მონასტერს ჰყავდა თავიანთი წმიდანები, რომელნიც აღვლინებრივ იდიდებოდნენ და შემდეგში მათი სათაყვანისცემო ასპარეზი თან-და-თან ვრცელდებოდა და ფართოვდებოდა.

თამარის ბრწყინვალე მეფობის შემდეგ დიდ უხედურება ეწია ჩვენს სამშობლოს—მოაღალტის ურდო ღვთის რისხვასივით თავზედ დაატყდა საქართველოს. შემდეგ ყიზილბაშთა და ოსმალთა ერთმეფობას ბოლო მოუღეს ჩვენი. სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ დაიყო საქართველო. იმ შავ ბედს და უკუღმარტის დროს, როდესაც ჩვენი წინაპარნი თავიანწირულად ებრძოდნენ მუსულმანთა მძლავრობას და მუდამ ხმლით ხელში იცავდნენ ეროვნებას, სარწმუნოებასა და სამშობლოს, მოკლა არა ჰქონდათ წმიდათა კანონიზაციის საქმეს შესდგომოდნენ; მაშინ ახალ მოწამეობას აღწესებნასაც ვერ ასლიოდნენ.

თამარის წმიდანად შერიცხვანად ეკლესიურ დადგენილებს უქონლობა ვერ დაარღვევს ქართველის ხალხის ღრმა რწმენას, რომ იგი წმიდანია. თუ დოღმატიურ-იურიდიულის მხრით შეეხედეთ საზოგადოდ წმიდანებს, მაშინ ხომ ბევრი მათგანი უნდა გამოეკლოთ წმიდანების სიას, რადგანაც მათ შესახებ წერილობითი აქტები არა გვაქვს დასასაბუთებლად მათის კანონიზაციისა. რუსეთის ეკლესიის ბევრი წმიდანი ჰყავს, რომელთა კანონიზაციაზედ არავითარი ცნობა არ დარჩენილა და ეს გარემოება ეკლესიას ხელს ვერ უშლის იგინი აღიდოს და წმიდანად აღი-

აროს. წმ. მოციქულთა სწორი ოღვა როდის იყო შერაცხული წმიდანად და მოციქულთა სწორად, ამაზედ გადაწყვეტილი არა გვაქვს-რაო, ამბობს პრაფ. ე. ე. გოლუბინსკი, აგრეთვე როგორ სრულდებოდა მე-**XV** საუკუნემდე ჟამის წირვა მისს მოსახსენებლად, არც ამაზედ გვაქვს არავითარი ცნობა³⁾. მაშასადამე, უქონლობა თამარის შესახებაც საეკლესიო დადგენილობისა (კანონიზაციისა), უქონლობა საგალობლებისა იმას არ მოასწავებს, რომ იგი წმიდანი არ იყოს. იყენენ იმისთანა პირნი, რომელთა შესახებ ეკლესია საჭიროდ არა სთვლიდა საგანგებო დადგენილებას, მაგალ. ძველს აღთქმაში—მამათ-მთავარნი და წინასწარმეტყველნი, ახალში—ღვთის-მშობელი, იოანე წინამორბედი და მოციქულნი, ყველა მათგანი წმიდანებად ითვლებოდნენ. კანონიზაცია იმისთანა მოღვაწე პირზედ იყო საჭირო, რომელთა წმიდანობაზედ შესაძლო იყო საეპეო რამ წარმოთქმულიყო, მაგრამ თამარის წმიდანობაზედ არავითარი იჭვი არ ყოვილა გამოცხადებული ამ შეიღის საუკუნის განმეღობაში, და არც ეკლესიური აქტი იყო საჭირო მისს კანონიზაციაზედ. ხალხის შეგნებამ აღიარა დიდი თამარი წმიდანათ და იგი წმიდანია.

თავლი რომ გადავგლოთ ჩვენს ძველს აგრეთვე უმუხწყველს და გამოუტყევენებელს მწერლობას, ცხადად დავინახავთ, რომ თამარი ბრწყინვალე ჩვენთა წინაპართა სიცოცხლემივე სცნეს წმიდანად. ერთი მე-**XII** საუკუნის გუჯარი, რომელსაც «მანდატურ-უხუცესი და ამირი სპასალარი» ქიაბერი (ქ. ც. I გვ. 282) უძღვნის შიო მღვიმის მონასტერს და რომელსაც ხელს აწერენ კათალიკოსი იოანე და ერისთავთ-ერისთავი ძევან აბულეთის ძე, თამარის იხსენიებს «ღვთასა სწორად»...⁴⁾ 1204 წლის გუჯარში ანტონი კუანდილეღი თამარს მიმპართავს და

2) დაწერილებით ახ, Ист. Канон. рус. свят. В. Васильева. Чт. въ общ. ист. древ. 1893 г. кн. 3 და Е. Е. Голубинскаго—Канон. св. въ рус. цер. Бог. Вѣст. 1894 г. №№ VI—X.

3) ibid № VII, стр. 74—75.

4) ვახუშტი, საქარო. ისტ. გვ 217.



იხსენიებს მას, როგორც «ღვთის სწოებად», — „Равная Богу“⁵⁾. ბერ-მონაზონი იოანე შეთელი (აზღულუ მესია) თანამედროვე თამარ დედოფლისა, კაცღვთის სათნო» ყოვლად განთქმული და საკერებელი მოღვაწეთა შინა და ლექსთა გამომთქმელი» ბრწყინვალე თამარს შეფარავს „შემდეგის ვებრეტებით: «ბრძმელად სიწილისაო, საღმრთო ბანაკაო, წმიდად შეწყობარე, მათთან მოსაგრე, ზეცისა ძალთა ხარ მოღსეცა, მადლოთ სვეტაკი უფრას ნათლისა, ნათლის ემპაზი, ნეტარ ხარ ყოვლად, წმიდად და ცხოვლად»... მეორე თანამედროვე პოეტი ამბობს: «ენატრილია, ვინატრილია ქე ღვთისა შენად ქედ შწოდებაჲ» და სხვა...

თუ ესეთი ღვთის სათნო პირნი, როგორნიც იყვნენ სწავლით გამაჰკავლური კათალიკოსი იოანე, სახელგანთქმული და განვითარებული სასულიერო მოღვაწე ანტონი ჭკონდაელი, ბერ-მონაზონი პოეტი იოანე შეთელი და არა ნაკლებად ცნობილი პოეტი ჩახრუხაძე, რომელნიც თამარს სთელიან ღვთისა სწორად, ადარებენ ღვთის-მშობელს და სხვა ამ გვარი ვებრეტებით იხსენიებენ, მაშ გვიჩ არც-კი უნდა გვეკონდეს, რომ თამარი თანამედროვეთაგან ერთხმად წმიდანად იყო აღიარებული. ან საეკლესიო აქტი რომ შეედგინათ თამარის წმიდანობაზედ ამათხვდ უყეთესს, სანდო და საწმენო პირებს ვისლა მოაწერინებდნენ ხელს!

ნათქვამს უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი ფრიად შესანიშნავი მოწმობა. ქართველი ელიზ არქიმანდიტი ხარიტონი, წინამძღვარი ქუროსელის (Курмишинской или Курмуцкой Богородицы) მონასტრისა, გაგზავნილი თეოპუზას მეფისაგან რუსეთში 1619 წელს, მეფე მიხეილ თეოდარეს ძის წინაშე იმეორებს თეიმურაზისაგან დაბარებულს სიტყვებს: «თეიმურაზი ეტლა სცხოვრებს იმერეთშიო, სადაც დაკრძალულია წმიდა გვამი თამარ დედოფლისაო» («Где находится святое тѣло царицы» т. е. Тамары.) ეს მოწმობა იმითი მიუკეცს ჩვენს ყურადღებას, რომ იგი წარმ ათქმულა სასულიერო პირისაგან და მასში ნათლად იხატება შეხედულება ჩვენის ეკლესიისა კეთილ-მორწმუნე გვირგვინისა ეკუთვნის. გელათის მონასტერში სხვა დედაფლებიც ბევრნი არიან დასაფლავებულნი, მაგრამ იმათგან არავის იხსენიებს; რის

მაჩვენებელი ეს თუ არა იმისი, რომ იქ განსვენებული დედოფალთაგან მაოლოდ თამარს აღიარება და აღიარებს ხალხი წმიდანად.

ხალხმა თვისი აზრი თამარის წმიდანობაზედ გამოსთქვა იმაში, რომ თამარს ჰხატავს ეკლესიისა ნიშით (სხვიით ე. ი. ისე, როგორც წმიდანები იხატებიან), ხოლო ფშავ-ხევსურეთსა და სიანეთში სამწირველოებიც არის მისს სახელზედ და საგანგებო დღესასწაულებიცაა დაწესებული. თამარ-მშეს იგინი სთელიან სწეულთა და ავადმყოფთა მეკურნალად. თამარ მზე, ფშაველებს რწმენით, ყველა ხატებზედ ძლიერია, რადგანაც სხვა ხატები მხოლოდ შუამდგომლობენ ღმერთთან, თამარ-მზე-კი თვით ჰკურნავს სწეულთა და დავრდომილთა.

თამარ დედოფლისთვის ტამარე დედა-მთავრის სახელი დაურქმევიათო, ბრძანებს მ. გ. ხელიძე. ეს მოსაზრება იქნება საფუძველს არ იყოს მოკლებული, მაგრამ ასე შიარს რად გვენდა წასელა თამარის სახელწოდების საძებნელად, რადესაც თვით ბაკრატონითა ახლო ნათესაობაში ჩვენა ეხვდებით ამგვარსავე სახელწოდებას. თამარი ერქვა დავით აღმაშენებლის ასულს, შირვანის დედოფალს, რომელიც დაქვრივების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, ააშენა თიღვის შესანიშნავი მონასტერი და იქვე მოლოხნად შესდგა *). პაპისა და დიდების სახელების დარქმევა ხშირი იყო საქართველოში და მასასადამე უფრო შესაძლებელია ვიკულისხმობთ, რომ თამარს დაარქმევდენ წმ. დავით აღმაშენებლის ასულის სახელს.

რაცა შეეება მ. გ. ხელიძის სიტყვებს, რომ ნამდვილად არც-კი ვიცით, სად ასაფლავია თამარ დედოფალიო, ამაზედ ჩვენ ბევრი ლაპარაკი არ დავეკრებთ, რადგანაც პირ-დაპირი მოწმობა გვაქვს ამ კითხვის შესახებ ქართლის ცხოვრებაში. იი მკრანეს სიტყვები: «...და წაყუანეს სამკვიდრებელსა გელათად და დაწესეს სამაწმოსა მკითხოსანსა»... აღმოიყვანეს (გვამი თამარისა) და მკირეთა შინა დღეთა მცნეთად დადგეს, და მერე უქანასწელთ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისა შინა სამაწმოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა»⁶⁾.

⁵⁾ ქარ.—ცხოვ. ნაწ. I გვ. 245, 264 და 290.
⁶⁾ ibid. ნაწ. I, გვ. 334, სხოლ. I, 345.

⁵⁾ Пурцеладзе, церк. гудж. стр. 96—97.



ჩვენს მცირე შენიშვნას ვაბოლოვებთ პატივცემულის პროფ. ე. ე. გოლუბინსკის სიტყვებით, «აბოლოვებდა ვითომამდე ადგილობრივთა წმიდანთა, რომელთა დღესასწაული არ ვიცით, როდის დაუდგენიათ, არიან აწმენებული სამწირელოები და ეკლესიები. ვასაოცარი იქმნებოდა, ამბობს პროფესორი გოლუბინსკი, კთხების აღძვრა მასზედ, ეს წმიდანები ნამდვილი წმიდანები არიან თუ არა?»^{*)}

დღე. დ. ღამისაშიც.

გაგრძელება იქნება.

«აჭყაძის»-ს კორექტორადმცია

სოფ. ზაქა. სოფ. ზაყა (კავკაიის მაზრა-შია) მთა ალაგია; მცხოვრებნი ტომით ოსები არიან, რიცხით 146 კომლი. ეს ას ორმოცდა ექვსი კომლი რვა სოფლად არის დაყოფილი. თითოეული სოფელი ეკლესიასზედ ხუთი-მედი და ზოგი ცხრა ევრსით არის მოშორებული, რაისა გამა დიდ გაჭირებაში არიან სამღვდლო პირნი სხვა და სხვა საღმრთო წესის აღსრულების დროს, მომეტეულებდნენ ზამთარში, საზოგადოდ აქ მთის ხალხი დიდ გაჭირებას ითმენს ადგილის სიმცირისა და სიმწირის გამო, მაგრამ მომეტებულათ ზაყის საჩრელოში მცხოვრებნი ერთი სამად დაჩაგრულნი არიან ბედისაგან. მხოლოდ თხუთმეტი ევრსის მანძილზე სოფელს ურემი უდგება, ისეც ვინაჩრობით, ხოლო თხუთმეტი ევრსიდან კი, ისიც როცა კი ამინდა, შეიძლება ცხენით მიიტანოს რამე კაცმა, და რაღაც ამ საცალფებო გზებს დაჰკლევს ხოლმე ზაფხულში წყალი და ზამთარში ზეაყები, მაშინ საბარალო მცხოვრებთა ზურგიით უნდა ზი-დონ ხოლმე თხუთმეტი ევრსზე ბარათ ნაყიდი საზრდო. ზაყაში მოდის მარტო ახალ-თესლი—ქერი, ისეც მაშინ, როცა შემოდგომა თბილი დადგება ხო-ლმე და თუ შემოდგომა ცივი დაუკირა, მაშინ იმა-საც დასწარმს ხოლმე, და მკვიდრნი იძულებულნი არიან თავიანთი წლის საზრდო ბარის ოსებში აცი-

დონ და წვა-დავით მიიტანონ ხოლმე სახლში. ზაყაში ძირელ დღე ზამთარი იცის; აქ. სამ-ოთხ არ-შინაშე თოვლი მოდის, ზოგჯერ მეტიც. ბედისაკან დაჩაგრული ზაყაში მცხოვრებთათვის ცოტადენი ნუგეში ურგუნებია ბედს: აქ ყველა მისახლეს ჰყავს ოცი-ორმოცი და ზოგს, რასაკვირველია მეტიც, ცხვარი, და თითო-ორილა ძროხა. მცხოვრებნი ავითებენ ყველს და აქაური ყველი ისეთი კარგი ღირ-სეისა გამოდის, რომ არც ერთ მთაში არ გამოდის ასეთი ყველი (თურხოს გარდა), რომელიც ძლიერ კი ფხაით იყიდება და ყველის ნაფასურით ყიდულობენ მცხოვრებნი «არსებითი პურს». რადგანაც ზაყა ასე მივარდნილი უგზო მთა-ადგილია, ამიტომ მთავრობის წარმომადგენელიც არ იწუხებენ თავს, რომ ზაყის მცხოვრებთ რომდისმე დახედონ-დათავიერიღონ და ბედისგან დაჩაგრული ხალხი აწუგეზონ, თუ საქმი თ არა, სიტყვით მაინც. ბედის აქ მცხოვრებ-თათვის გაგონით კი გაუგონია: «გებისკობასი, ოლქის უფროსთა და სხვა. დანახვით კი არ უნახავს, (წელს, როგორც ვაგივით, ყოველად სამღვდლო კავკაიის ეპისკოპოსი ელაღიშვირი აპირებს როგორც სხვა მთებში ისე ზაყაშიაც მომხანებას, ღმერთმა ჰქნას, რომ ზაყელები მოსწრებოდნენ მათი მეუფების ნახვას. მათი მეუფება თავის მწყემს-მთავრულ ყურადღებას მიიქცევს საბარალო ზაყელებთ). რადგანაც ასე ძნელა გასაძლიოს უგზო მიუსვლელიადგილია ზაყა, ამიტომაც არც ერთი მღვდელი დიდხანს არა დგება აქა, ამიტომაც აქაურებს კაცი არა ჰყავთ, რომ სწავლა-განათლებასა და შკოლის გახსნაზედ იზრუნოს, მაგრამ ცხლა, რო-გორც ვიცით, დაჩაგრულ ზაყელებსაც გაუღიმა ბედმა: ეს მესამე წელიწადია, რაც ზაყის საჩრელოში გა-აწყეს მღვდლთა ყმაწიელი კაცი მ. ესტატე ჯა-ნუაშვილი (ჯანუფევი). მ. ჯანუაშვილი—დაულა-ღავთ დაღ-ს, რვა-ცხრა ევრსზედ გაუწაღტულ თავის მრეელში. დიდ ზამთარში, როცა შეუძლებელია მგზავრობა მ. ჯანუაშვილს, ბანდულებს იცომა, ფეხებზედ თხილამურებს იკეთებს ზედ, და ისე ყოველ შემთ-ხვევაში აკაყოფილებს მრეელის მოთხოვნილებას. შარშან ზამთარში, მრეელში მგზავრობის დროს, მ. ჯანუაშვილს ფეხი გადუცდა გზას იქით, ჩავილა თოვ-ლში, და რომ არ მიშველებოდნენ, მსხერპ-ლი შეიქმნებოდა თოვლის, მაგრამ მ. ჯანუაშვილი მაინც არაფერს უშინდებდა და არ ავიწყებდა სიტყვები

*) E. E. Golubinskogo. Ист. Кан. св. въ рус. 1 пер. МХ, стр. 69. прим. 1.



სახარებისა: «მწყემსმა კეთილმა სული თვისი დასდგა ცხოვრათთვის» (იოან. 10—11)

სხვათა კეთილ საქმეთა შორის მ. ჯანუაშვილმა ჩაეგონა უბირ ყრუ ხალხს სწავლის მნიშვნელობა და ამა წლის იანვრიდან გახსნა წერა-კითხვის სასწავლო შოკლა შექპირება ჯერ-ჯერობით 30-ათი ყმაწვილი და ასწავლის ერთ პატარა უბრალო ოთახში; მაგრამ უნდა იცოდეთ, მკითხველო, რა ნაირ წყაღებით: არა აქვსთ საქირა დასასხდომი და სხვა საქირ სავნები, მაგრამ თვისი მეცადინეობით მშენიერათ შეესწავლა ამ ცოტა ხანში უბირი ხალხის შეიღებს წერა-კითხვა, ლოცვები და ზოგიერთი სავალობელი, რისთვისაც მისი მრეელი დიდ მადლობას უძღენის მოძღვარს, როგორც ვიცით, მ. ჯანუაშვილი თავ-დადებულა, შრომას არა ზოგავს, მაგრამ სსწავლო ნიეთებისა და სხვა ნიეთების შეძენისთვის მღედელს თავისი შეძლება არა აქვს და მრეელს ხომ სულ არა გაჩნია რა. ამიტომ ვისურვებთ, რომ ყოვლად სამღედელო კაცების ეპისკოპოსმა გლადიმი-რმა ყურადღება მიუქციოს და სსწავლო წიგნებით და ნიეთებით შემწეობა აღმოუჩინოს ზაყის მღედელს მ. ჯანუაშვილს, რომელიც მზათ არის თავისი მრეელის სწავლა-განათლებისათვის ყოველნაირი შრომა იტვირთოს...

ქართველი ოსებში.

ორი სსსარალო.

3. რედაქტორი.

უნდა მოგახსენოთ ერთი რამ და მომეცით ნება თქვენის გაზეთის საშუალებით ეს ჩემი უბრალო მოსასრება ჩვენს ხალხს გავაგებინო. ყოველ წლობით, ყოველ თვეობით გვემატება ხარჯი, გარდასახადი, ცხოვრება გაჭირდა, სოფელი, ქალაქი დაეღალა და. ხოლერა, კალია, სეტყვა, ყველაფერი სენი ჩვენ გეპტრობს და ზარალს გეძლეფს, იჩენა ტყეები, გახმა სძივარი—განდა საქონლის ჭირი—სამუშაოს ეგრა ვმოულობით—სურსათი გეაკლდება და ჩვენი ხალხი, ჩვენი სოფელი კიდევ ბევრს მვენებელს

ჩეულებას ეწევა და კიდევ უფრო ღარიბდება და ილუბება! დროა, ბატონო, მიესვდეთ, რამ ეგრე ჩვენი ყოფა აღარ შეიძლება,—თორემ ყველა ჩვენ გეჯობებს, ყოველი ხალხი წინ წაგვისწრება და სულ გეპტრებთ. მე ჩემის უბრალო განგებით ეურჩევ ჩვენს სოფელს, ჩვენს ხალხს, ორი ასეთი ჩეულებამინც მოსხას, რომლის მოსაზობით არა დააკლდება რა და ბევრი-კი შეეძინება: 1) რა საქირა, ბატონო, ეგ გაუთავებელი ქარწილი, რამ ვიცით სოფელში! სამს დღეს უნდა დაეცდეთ, სამი დღე უნდა ვით-ერაღოთ, მთელი წლის საკმა ღენო, სურსათი სამს დღეს უნდა გავთავოთ და როდესაც ბოკაულები მოგედგებიან სახელმწიფო გადასახადისათვის—უკანასკნელი ძროხა, ხარა, კამეჩი უნდა გავეციოდნა! სამართალა და ქქუა არი აქ? არა ჩემო ბატონო, და ამისათვის გააგებინეთ ჩვენს ხალხს ჩემი რჩევა, მოსაონ, ეს სამი დღისაღინი, იმართონ ერთი დღეც. აღარ არის, ბატონო, ჩვენში მხიარულებისა და გარხალალოს მოძახილის დრო!.. მეტად გაჭირებულს მღდომარეობაში ვართ!

მეორეც ია, ბატონო, რომ: რა უბედურება ოჯახში თუ ვინმე გარდაიცვალა, მიცვალაბუს მთელს ოჯახს სამარეში ატანენ: ეს ოარმოცი, ეს წლის თავი და სხ. უნდა მთელს სოფელს მოუწოდონ და აუარებელი ხარჯი გასწიონ... განა ეგ საქირა? ისიც კმარა, რომ მიცვალაბუს პტიფსკეს სოფელმა განსვენების დროს, მიაბაროს სამარეს და თვე თავის სამუშაოზედ წაიღეს. რალა საქირა ოარმოცი, წლის თავი, ამდენი ხარჯი, დროს დაკარგვა!.. ეს არის, ბატონო, ჩემი გულის-წუხილი და ამასა ეთხოვ მღედლებს, სოფლის მსწავლებელთა, აუხილონ თვალი სოფელს, დაარიონ, უჩიონ ეგრე ნუ მხოკედებენ. (იეგრა).

გულში ჰავფე ოდიკაქ.

«იეგრა» თავის შენიშენაში ისეთის სხხარულით მიგებებია ამ აეტორის უბრალო შენიშენას, რომ ჰგონია კაცს, სწორედ რალაც ახალი სხხარი მოუწანავთ ჩვენი ხალხის გასამდიდრებლათო, საქმეს რომ ჩაკერდებით კი, შენიშენა ძალიან უსაფუძვლო და უზარა. ბატონი ოდიკაქ გვიჩვენებს, რომ მოესპოთ ოარმოცისა და წლის თავზედ სულის მოხსენება და ჰგონია, რომ ამით გავმდიდრდებითო. რა შუაშია აქ ოარმოცისა და წლის-თავის სულის



მოხსენება! ორმოცისა და წლის თავის მოხსენებ-
სათვის საჭიროა ერთი ჯამი წანდილი, სანთლის,
საკმლის და ზედაშის და მიღვლის საზრომელად
სულ სამ მანეთამდე, მოჩა და გათავდა. და ზო-
გიერთს რომ გადმოვა და ლოთობა სურდეს, სულის
მოხსენების საქმე აქ რა შუაშია? რამდენ ფულს
ფლანგებს ჩვენი თავდაზნაურობა სულის მოღუ-
ბენებლადუც და უქარწყლოდა. ამაზედ რატომ
არაფერს პრძანებენ! დახს, რაც სათქმელია, იმას
არაფერ არ ამბობს, რაც საზარალოა იმაზედ ხმას
არ იღებენ და სიღარიბის მიზეზად სულის საქმის
აღსრულებდა და ქოჩწყლი მოჰყავთ! ამისთანა უმნიშ-
ვნელო შენიშვნები თავის დროში ვერ მიადწევენ
მიზანს, რა სხარულითაც უნდა მიეცებოს «ივერიის»
რედაქტორი.

რედაქტორი.

ნატრიარქის სიტყვა.

მოგვყავს მოკლე შინაარსი პატრიარქის სიტყვისა,
რომელიც მან პეტერბურგს წარმოსთქვა სამშენთა
წმ. ეკატერინეს ეკლესიაში:

«მართლად დიდად დაბაღვული ვარ, მაგრამ მწყე-
მსთაყრული ჩემი მოხალეობა ნებას არ მამლეკს ესდუმ-
დე. ამ სამი დღის წინადა, რადეცაღ ბიარგვად შემო-
გედი ტამარსა ამას, საღამს გიბღვნიდით, დღეს-კი,
რეგორც მცხორაკი გკითხებოდა მოწაფეთა თვისთა,
გკითხეთ: მრთელ ხართ? დაად, თუ რომ ამ ჩემს
კითხვით მიხდადეს შევატუო თქვენი ჟანმრთელობა, ე-
ი. რომ თქვენ ავად არ ხართ—სქამით, ჭსკამით, ცოცხალ
ხართ და ჭმოქმედებთ, მეც კარგად გზედებთ შევალს.
ანა, ამისა შეტყობს არა მსუეს; მე გვეკითხებით: მრ-
თელ-ხართ სარწმუნოებით? მრთელ-ხარ ქრისტიანულ
წესთა აღსრულებით, მრთელ-ხართ ღვთისა და მოფუკისს
სიყვარულით, გინადგან სარწმუნოება თვინიერ საქმის
მკვად არ სობაქუელის სიტყვით. თუ რომ მოწმუნენ,
სასულით ქრისტიანი, არ ჭმოქმედებს, რეგორც ქრის-
ტიანს მოეთხოვება, და მსოფლიად სასულით იქმნება
რისტიანი,—იკლის ეკლესიაში, იკითხავს დაგითხს და
ფსალმუნთა აზრის სიღმრეს-კი არ ჩაუვირდება, მისა-

მენს სახარებას და ღვთის მცნებათ-ვი არ ხსრულებს, ეს
კადეკ არ აზრს ნამდევლა ქრისტიანობა; ასეთი იყო
მკვლთა ისრავლთა ერი, ის ვრი რომელსაც დმერთი
ბავთა წინასწარმეტყველისათა უსაყუდურება: «ყრა
ესე მოვალეს ჩემდამო, ბავთა თვისათა და ენითა თვი-
სითა მადადეს მე, სოფო გული შორად აქვს მამტეუ-
ლი ჩემივან. მარტო სარწმუნოება ნებით რას მესტავ-
სება? იგი ჭკავს ფტორთო რეს, რომელსაც გული გა-
მამაზლი აქვს და მსოფლიად გარდგან-და აჯრეს ქტქე,
მწყენე ტრტნი; სე ესე მსოფლიად გარდგან აზრს მრთე-
ლი. უნდა უწყვიდეთ, რომ მსოფლიად საქმით არას ცო-
ცხალ სარწმუნოება და ამიტომ მუდამ საქმისაგან უნდა
გდნობდეთ გაცას სარწმუნოებას და აჯრეთყე იმას,
რამდენთაც ჭეშმარიტა ქრისტიანია ადამიანი. სარწმუ-
ნოება ადამიანს მსოფლიად სამარეშდის გჯვეება სოფლი,
სოფო რად შეესება კეთილ საქმეთა სსოვნას, იგი არა-
სოფლეს არ წარსობება და თვით სიკვდილ შემდეგტრ-გო
რჩება ქვეყნასზედ. ეს ასეა.

ასლა მუარე საჯანს შევეწოთ, მე გკითხებოდით,
მრთელ ხართ—თქო და რამდენსადც შესამლებელი იყო,
გიადც აჯისხენით, თუ ვინ არას მრთელი, ჭეშმარიტა
ქრისტიანე.

რადეცაღ ისრავლთა ვრი ბაბაღვანში იმყოფებოდა.
იგი მუდამ გკითხებოდა იერუსალიმიდგან მასულით,—
მრთელ არს იერუსალიმა თუ არა? თქვენც, რომელნიც
ამ უბად ჩრდილოეთის მსარეს შემოჭინაზინასართ, მდ-
ნევის პირად, შეითხეთ უთუოდ: ჭეჩიარე, გვათხარ,
მრთელ არს სამშობლო ჩვენი, სომხეთი, ცოცხალ
არაინ იმისნი შეილნი? ვიცო, თქვენს შორისაც არაინ
მცირედ მოწმუნენი, რომელთაც სრულიად დაჭებრკათ
იმედი,—სომხეთი დაღუბულია ჭკონათ, ან დასაღუბდ
გამსადებელი. მაგრამ გაუწყებთ, რომ სომხეთი
ისეც ცოცხალია, და ცოცხლად დარჩება. მართალია სო-
მხეთმა ბუკრა რამ დაჭებრკა, მაგრამ წუალობათა ღვთა-
სათა ბუკრ 40მე წელა, რც მენი მისნი კვავე არსე-
ბობენ. დაად სომხეთი დღეს ცოცხალია, მამინ რადე-
ცაღ მისი მესობლად მცხორებნი ვრინი მიადკლენი და
ასურულენი დიდი ხანია ადსობრენ ნანაჯან მიწისა, გან-
ჭქნენ და დღეს მათი სახელი მსოფლიად ისტორიამი და
დარჩენილა, ისტორიას-და ახსოვს ისინი. თქვენ კარგად
იცით, რომ სომხეთი რას სასულიწიფოებას აქვს გაყო-
ფილი. ბედნიერნი ხართ თქვენ, რომ რუსეთის სასული-
წიფოს უმრეწლავს მიფარველობის ქვეშე იმყოფებით და
თავისუფლად შეგიძლიათ თქვენის სარწმუნოებით ადამ-



რება, შევიდომანთ მშვიდობიანად და ბედნიერად იცხოვროს მატრიონის შრომით; მკრამ სულ სხვას ვეკვამთ სომხეთის მეორე ნაწილში. აქ, მშინო, ისმის მათის ტანჯვისა და შევიწროების მწარე კენესა. მაინც სასწრაფოილებას აჩ უნდა ვემდეგადეთ. ქვეყნისაზედ საუკუნო აჩა აჩის.ჩა. ვგონებთ დადგა დრო, როდესაც სომხეთის ერის ტანჯვასაც ბოლო მოკლავა. გვამდეს, რომ განტეპამ დვთასამ გადმოგვკვდა, ქრისტიანე ერთა უურადღება მოგვაპურეს, სემარისად სტნეს ტანჯვანი მოძქეთა ჩვენთა ოსმალეთის სომხეთში და ბოლოს მოუღებენ ამ ბოროტებას, მაინტებენ მათ კეთილად დადგენილს ადმინისტრაციულს წესწყობალებასა, უნდა გვჭკროდეს, რომ თეთი სონთჭირე შეიგინებს ამ რეფორმათა შემოდების საჭიროებას, რომლებიც უსათუოთ საჭირონი არიან სახელმწიფოს ინტერესებისათვის და დიდის საამოვნებით დამატებებს წარდგენილს რეფორმებს.

მაგრამ ჩვენ, რუსეთისა და ოსმალეთის სომხეთ, გვაქვს იმედი ძველადგენე, რომ რუსეთის თეთიმეორბული მუდამ მივარდელი იქნება ჩვენი, რომლისადმიც ამ თავადგანეე მიუწობალია თვალნი მრავალ ტანჯულთ აღმოსავლეთის ქრისტიანეთა. მათს დადადის მუდამ ისმენდნენ რუსეთის მეფენი და შებღავისაგან ახსნიდნენ ქრისტიანე კვლესიას. მაშ, იმედი ვიჭონით, რომ უმთავრესი ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ II-ც, როგორც მისნი დიდებულნი წინაპრნი მეფენი, მეოხად და მთარეგლად გვეყოლება სომხეთ და ჩვენს მოძქეთ მრავალ ტანჯულთ ოსმალეთის სომხეთს შევიწროებას ბოლოს მოუღებს. და როგორც მაცხოვარი გვასწავია ლოცვას, ვსტკებთ: «იუე ნება შენი, ვითარცა რათა შინა, გერთობა ქვეყნისა ზება. ამინ!

და შენვე გამომხატველი ჩემი ტანჯვა და წამების.

ათას გვარ სველით ტანჯულთ გული ღონდება ტილი, შემომსუბუქე ეგ ცეცხლი, სვე-მედის მრუდეთ ტრიალი.

შენით იწყება ყოველი კეთილია თუ ბოროტი, სიყრმიდგან ტანჯვა-წვალებით ნუ ჩამატარე ბოლომდი.

როგორც მირონსა ხმარობენ სიწმიდის დასამყარებლად, მელანიც ბოროტებისთვის იხმარე ვასაქარებლად!

ხელს ნუ მორჩილებ მანკერს, ვისაც არა სწამს ჩაგრული; ჰმონე მას, ვისაც ებრადის შეხებდით მწარედ დაგული.

გასირილვე ქალღმრე, აღნუსხე ჩემი წაილი, მოსზე, აღვაეე ქვეყნით მზავერელთა უღეთო ქალილი.

რ. საგაონელი.

მ ა ლ ა მ ი.

შენი ქორიმი კალამო, შენი ნემსივით წვერისა, შენ მეგულეები მკურნალად ეგვლან ჩემ გულის ძვერისა,

შენა ხარ დამატებელი ჩემი სიცოცხლის წამების,

ახალი ამბები და შენიშვნები.

30 და 31 აპრილს მოხდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოების კრება. თავმჯდომარეობდა ბლადლოჩინი მამა, კანოტონ გაწერელია. განსახილველ საგნებად იყო ქუთაისის სემინარიისათვის ნიეთიერი



დახმარების აზრს. სამღვდლოებამ გაილა ამ საქმის შესახებ თუთმეტი ათასი მანეთი, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს რვა წლის განმავლობაში, სამუდამო წყაროდ კი სემენარიას დღუნიშნის სახელის ქარხნის შემოსავალი და ის ფულები, რომელიც დღეს იგზავნება საეკლესიო ხაზინიდან თბილისის სემენარიის სასარგებლოდ. ახვე კრებაზე მსჯელობა ჰქონდათ სანთლის ქარხნის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და მგურულ ენაზე ლოცვებისა და ღვთისმსახურების ვალთარგმნის შესახებაც.

* *

ქუთაისის სათავად აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორად კომიტეტს დაუსახავს კანდიდატად ბატონი ს. ბ. ლოლაბერიძე. ბ. ლოლაბერიძე დიდს ერთგულებით მსახურებდა ქუთაისის გემზაზიში ოცდახუთ წელიწადს, და ისე დაიქანცა, რომ თავი დაანება სამსახურს და შტატ გარტად გავიდა. და არც გასაკვირალია ეს. ვის არ დაღაღავს ოცდა ხუთის წლის მსწავლეობა, თუ კი პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას. მას პენსია დაენიშნა და ცხოვრებს თავისუფლად. გასაოცარია, რომ ამ დაქანცულ კაცს თავისუფლებას ართმევენ და ამისთანა დიდ მოვალეობას აუღლებენ. არა გეგონია, რომ იგი თინახმა გახდეს ამ მოვალეობის მიღებისა, მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენში მოაპოვებინ ენერგიით საესე პირები, რომელნიც მზად იქნებიან ამ მოვალეობის დაკისრების, ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან დახურვა განუზრახავს კომიტეტს ამ სასწავლებლისა, ან არა და მოსპობილიან ჩვენში მხნე და გამჭირახი საპედაგოგო კაცები, მაგრამ ჩვენ ეს უკანასკნელი გარემოება არ გეფერა... *

* *

წელს ქუთაისის სასულიერო სემენარიაში იგზავნები დაიჭირა და გადაედა შემდეკ კლასში ოცდახუთი შეგირდი. რამოდენიმეს აქვს განმეორებითი გამოცდა დანიშნული. ექვსი დარჩენილა იმავე

კლასში, რომელნიც ადვილს ართმევენ მათზედ უმჯობესს მისაღებ მოსწავლეებს.

* *

ჩვენ მივიღეთ ჩვენგანვე შეკვეთილი ჩვენის საკუთარის შტამპით მოჭრილი გულსაკილი ხატი მეორეთ გამაუსული, ნინასი ერთ გეგრდზედ და მეორეზე ანდრია პირველ წოდებული. პირველი გამოცემა დავით აღმაშენებლისა ერთ გეგრდზე და თაპარ მეფეს მეორეზე. მალე მივიღებთ დავით და კოსტანტინესა და წმ. გიორგისას. უასი თითოა შაუი აქეს.

* *

სამრველო სკოლებისათვის, გაზეთების სიტყვით, მომავალი წლიდან სამი მაილიანი არის დანიშნული. სწორედ სასიხარულოა, იმელია ამ ფულებიდან ჩვენ სკოლებსაც მიეცემათ შესაფერი ნაწილი.

* *

«ივერიის» მე 118 №-ში ქუთათური კორესპოდენტი მოგვითხრობს, რომ «თვით ბ. მზრუნველმაც ცხადად დაინახა უფარგისობა და სისუსტე იმ მეთოდისა, რომელიც ბ. ლიევიკიმ შემოიღო რუსული ენის სწავლებისათვის დედაენის დაუხმარებლად. «ამას გარდა ბრძანებს, იგევე — პატივიცემულმა მზრუნველმა მოახდინა განკარგულება ქუთაისის სამოქლაქო სასწავლებლის რევიზიის დროს და დაავალა იმ სკოლის ვაღობის მასწავლებელს, ტომით რუსს, რომ მოწაფეებს უტეველად შესწავლოს რუსულ ვაღობასთან ქართული საეკლესიო ვაღობაცოა. შემდეგ მოგვითხრობს კორესპოდენტი, რომ ეს განკარგულება «ელეასაეთ გატეველდა საზოგადოებაში, რომელიც რასაკირეველია კმაყოფილი დარჩაოა».

სწორედ საკირეველია კორესპოდენტის გულუბრყვილობა და რედაქციისაც! ბ. ლიევიკიმ რვა ათასი მუწეუში სასქელმდგანქლო უევე გაასალა სკოლებში და ეწლა, როგორც ამბობენ, ხელახლა შედგამია ბეკდვას. ავა საადან სჩანს, რომ ეს სახელმძღვანელო ხმარებაში არ იქნება! რუსს დაავალა ქართული გა-

ლობის სწავლებლა! საიდან შესკლებს ქართული
 გლობის სწავლებას რუსი? ის არ სჯობდა ბარემ,
 ქართველისათვის დაეულებია? ყოველ მოსვლაზე
 ყველა უფროსები ასე ავალბენ ქართული გლობის
 სწავლებას, მაგრამ ჯერეთ არც ერთ ეკლესიაში არ
 გინახავს რომ ქართულად ეგლობობსთ სამოქალაქო
 სასწავლებლების მოწაფეებს და თუ გინდ სახალხო
 სასწავლებლებისაც ეგკლესიაში არც კი დაღიან და
 ეინ დაძებეს მათ გლობას! მართლაც, «ელქასავით
 ვრცელდება» ზოგიერთი განკარგულების ამებე საზო-
 გადოებაში, მაგრამ ელქასავითაც მალე ჰქრება!...

ეიქესის გუბერნიის, მალმაქის მაზრის სოფელ
 მუტანში თერთმეტ გლესს ვიატკურ ღმერთებისათვის
 მსხვერპლად შეუწირავსთ გლესი კონონ მატეიშინი.
 გაზეთ «ვოლკ. ვესტ». სიტყვით ადამიანის მსხვერ-
 პლად შეწირისათვის გლესს მატეიშინს თავი მოსკ-
 რის თურმე და მუცელი გამოუფუშეს და გამოუღეს
 შიგანურა, მსხვერპლის შეწირვის დამთავრების შემ-
 დევ უთავო გვამი მატეიშინის იმსთანაგზაწერილზე
 დაუვდათ, სადაც ზუფულის დრანს სიარული სამენ-
 ლო ყოვილა ორ სოფელ შუა, მატეიშინის მძობი-
 სთვის ერთ გლესის გოგოს შესწრა თვალი და
 დაბრუნებისს გამეჭიანებია ეს საშინელი სურათი.
 საქმის გამოძება იქვე დაუმთავრებოთ და მომავალ
 სესიას მოხსენდება გარდასაწყევ ათათ. ამ საშწუნარო
 ამის გამკონეს, მეორე ვაზეთა «ბირე. ვეღ.» მოჰყავს
 კიდეე უჭრა უყეთის აზბავი; მალმაქის ეელურებს
 კაცი დაუქლავს, და ნოვკოროდელებმა კი ამის
 წინად ადამიანი და მკათნავი დასწევსო... ამავე
 ეელურობის გამოისობით მილონობით ჩადან ჩენ-
 ში ათასნაირ მანებლობას, თავისთვისაც და სხვის-
 თენაც, ჩენ კი ძალან სიუბეეს ვიჩნთ ყველა-
 ფერში, სახალხო სასწავლებლების გარდა; ჯერაც
 კიდეე ვერ მიგვიჩქება მასწავლებელი ყოველი სო-
 ფლისათვის. უნდა გვრცხვეროდეს. და გვძაღდეს ჩენ-
 ნი თავი, და არა ეელურა აღამაანი.»

სწავლა და მეცნიერება ქრისტიან- ნობორიე საჩწმყნობასა და კეთილ- ზნებაზე.

ცხოვრება ღირსისა ღმერთ-შემოსილისა

მამისა ჩემისა

გიორგი მთაწმიდელისა.

როცა მევემ დაამშვიდა მოწინააღმდეგენი და
 მშვიდობა ჩამოვადო აჯანყებულს მხარეში, იგი
 გამგზავრა აფხაზეთში, სადაც სურდა მოსვენება და
 თავისი ჯარით ზამთრის გატარება. მევემ თან წაიყ-
 ენა ნეტარი გიორგიც. გზათ ვიარეს მარტვილის
 მონასტერში (ჰყონდიდელის). მონასტრის ეპისკოპოსმა,
 რომელიც მოწაფე იყო ნეტარისა, თხოვა გიორგის,
 რომ იგი საზამთროდ მონასტერში დაჩწერილიყო;
 ნეტარი დთანხმდა და დარჩა ჰყონდიდლის მონას-
 ტერში. როცა ზამთარი გავიდა, მევემ აფხაზეთიდან
 წამოვიდა ქართლში და გზათ გამოიარა მონასტერში,
 სადაც იმყოფებოდა ნეტარი გიორგი. მევემ ნეტარს
 უბოძა ცხოვრებლად და სამართაულ მშენიერა მონა-
 სტერი ნემვი, რომელიც მდებარეობდა ქართლში, შე-
 მდგ მევემ ნეტარი გიორგი ამ მონასტრიდან გადმოიყვი-
 ნა და მისცა მას დიდებული და მდიდარი, კლარჯეთში
 მდებარე მონასტერი შაბაგრა, რომელიც მეფის
 სასახლის მახლობლად იყო აშენებული. მევეს სურ-
 და, რომ ნეტარი წშირად მისს სიახლოვეს ყოფი-
 ლიყო ხოლმე და არა ერთ-გზის უთქვამს გიორგი-
 სათვის: «მამაო წმიდაო, ჩენ იმიტომ ვიჩქაროდით
 შენს მალე მოსვლას საქართველოში, რომ შენ
 აცხოვრო სული ჩენი და დღივარო ჩენი ეკლესია
 სხვა და სხვა ნაკლულევენებათავან. მამაო, საიდუმ-
 ლო გვიჩენე ჩენ საიდუმლოდ, ხოლო ცხადი
 აგვისენ და განგემარტე ჩენ; რასაც მამობრივად

*) იხ. «მწეპისი»-ს № 18 1895 წ.

მიზანდებ, ყოველთვის მივიღებ და აღვასრულებ, როგორც თვით მოციქულთაგან ნათქვამს». ამ სიტყვების შემდეგ მეფემ ხელი ჩაჰკიდა თავის მემკვიდრის გიორგის, მიიყვანა იგი ნეტართან და უთხრა: «ამ ყმაწვილის სულს გაბარებ შენ და მოგთხოვ უფლოს საშინელს განკითხვის დროს». მიხუტვა აკურთხა ყმაწვილი, შეეცვრა ღმერთს მისთვის და სთქვა: «უფალო ღმერთო, განაღდე ყმაწვილი ესე, როგორც ამა ქვეყნაურ ცხოვრებასა შინა, ისე მამავალს ცხოვრებაში და განაღდე იგი მშავასად კონსტანტინე დიდისა და დაუმორჩილე მას ყოველნი მტერნი». ამ სახით მოხუცმა თავის თაემზე მიიღო მემკვიდრის აღზრდა.

მეფემ ნეტარი დანიშნა თავის და თვისი ოჯახობის მოძღვრად; აგრეთვე შემდეგ ქათალიკოსმა დანიშნა ნეტარი თავისი და თვისი კრებულის მოძღვრად. ნეტარი გიორგი გაიხადეს მოძღვრად მწავალმა წარწინებულმა პირებმა და ზოგმა გლეხობამც. ნეტარი უფლას მამა და ნუგეშის მცემელი იყო. გიორგის საქართველოში მოსვლამდე მრავალი უწყსარება სუფევდა როგორც საეკლესიო, ისე სამოქალაქო საქმეების წარმოების შესახებ. ვინაიდან ნეტარმა გაველმა მოაზოვა სასახლეში და კონსტანტინე და ხალხიც დიდს პატივსა სცემდნენ მას, მან მეფის და ქათალიკოსის უტრადღება მიჰქცია ზემოთ აღნიშნულ უწყსარებათა და ნეტარის მეცადინეობით შესანჩნევად მოისპო ხსენებულნი უწყსარებანი; ნეტარის მეცადინეობით ბევრი წესები იქმნა შემოღებული და, სხვადა შორის, დაჯანმრთებულ იქმნა: «გებსკოპოსად ხელდასხმულ იქმნენ ბერ-მონაზვნად ნამყოფნი, გამოცდილნი სასულიერო ცხოვრებაში და მცოდნენი როგორც საღმრთო წერილისა, ისე საეკლესიო წესწობილებათა, და არას გზით ებსკოპოსად ხელდასხმულ არ იქმნენ საერო პირნი, როგორც ეს ნეტარის მოსვლამდე ხშირად ხდებოდა ხოლმე საქართველოში. თუ მოისურვებდნენ ვინმე საერო პირის ებსკოპოსად ხელდასხმას, რომელიც ცოტა ხანს იყო ნამყაფი კრებულში, იგი შესანიშნავი მანიც უნდა ყოფილიყო მტკიცე საწმენოებით და ქველას საქმიებით. 2) ებსკოპოსათ დაღვნილი ჰქონდათ ხელი არ დეხსათ იმ პირებისათვის, რომელნიც გამოცდილნი არ იყვნენ სასულიერო ცხოვრებაში, რომ იმათგან საეკლესიო სამსახურზე დანიშნულ პირთ კარგათ ცოდნოდან სარწმუნოება, თავისი

მოვალეობანი და შესანიშნავნი ყოფილიყვნენ კეთილი (ცხოვრებით. 3) ებსკოპოსებს უნდა დაერიგებიათ თავისი ეპარქიის მღვდლები, რომ მათ არ გზარებიათ წმიდა საიდუმლოთი უღირსნი პირნი. 4) მღვდლებს და მთავარ-დააკენებს ნაბრძანები ჰქონდათ, რომ იმათ ყვარებოდათ და მორჩილი ყოფილიყვნენ ებსკოპოსის აკრძალულებით შესრულებით ღვთისმსახურება და ეცხოვრათ კეთილად, რომ მიეცათ კეთილი მავალითი განსაკუთრებით სამწყსოთათვის. 5) ნეტარს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ბერები, არც მსახურები და არც ხალხი; იგი თითოეულის წოდების საქირების მიხედვით არიგებდა ყველას და თავისი მეცადინეობით გადაღერა განათლება და აღაპალა დაცემული ზნეობა. მეფის და ქათალიკოსის თანხმობით მან დაარსა სასწავლებელი ოთხმოცი კაცისათვის. მოაგროვა ოთხმოცი ყმაწვილი, შეიყვანა ამ სასწავლებელში, რომ მოეზადებია ისინი ეკლესიის მწყესებად და მსწავლებლებად.

როცა ნეტარმა საკმაოდ ბევრი მოაქმედა საქართველოს სასარგებლოდ, მან განიზრახა თავისი უკანასკნელი ღღენი გაეტარებია წმ. ათონის მთაზე. იგი შეევედრა ღმერთს, და მერე წავიდა მეფეთთან, რომ განეცხადებია თავისი სურვილი დასტავოს თავისი სამშობლო და მოახსენა: «უკეთილმსახურესო ხელმწიფეო! როგორც თქვენი მონა, მე გემორჩილებდი თქვენ, დავსტავე ქვეყანა, სადაც მე ვმრომობდი და მყუროდ ეტარებდი ჩემს ცხოვრებას; ესლა გამიგონეთ მეც, გთხოვ, რათა გამიშვათ მე უკანე ჩემი მოღვეწეობის და საცხოვრებელს ადგილში, რათა მეც განვიგრძო ჩემი სულიერი მამების მახლობლად, მშავასად პატრონაქ იაკობისა, რომელიც ვარდაცვალა და გევატეში, მაგრამ დაიბარა, რომ მისი გვამი წელოთ და დავსაფლავებიათ აბრამთან და ისაკთან ერთად. თუ რამე შეემატა შენს კეთილ ცხოვრებას და შენს სამეფოს, მადლობა და პატივი გეკუთნისთ თქვენ და არა მე; ვინაიდან შენ მომიწოდე მე საღმრთო ყანის დასამუშავებლად, და მე თვითონ არ მოაქსუღვარ აქ დასამოწყებლად მიიღეთ თქვენი წერილი, რომელიც მე მოაწერეთ თქვენ და რომელშიაც მწერდით, რომ მე არავითარ შრომას არა ვწეე ჩემი სამშობლოს და ეკლესიის სასარგებლოდ. აღვასრულე თქვენი ბრძანება და მოვედი თქვენს სამეფოში, რომელსაც; რაც შემეძლო, ვემსახურე და რაც საქირო იყო, გავასწარე; ესლა გამიშვი მე



დიდებულს ქალაქში, რომელიც ჰყრებს თვის შორის და განსვენებას ანიჭებს ყველა მუშაკათა. დიდ არს უფალი და ქებულ, როგორც იტყვის ფსალმუნთა მგალობელი! ამითი დაასრულა ნეტარმა თავისი თხოვნა.

ხელმწიფემ მწუხარებისა გამო ცრემლები გადმოჰყარა, მრავალ გზის სიხარუა წაძღანს, რომ თავისი განზრახვა დეტოვებია; მაგრამ ვერასგზნით თავი ვერ დანებებინეს გიორგის მისი განზრახვისათვის, როცა მეფე ვერას გახდა, ნეტარი ღირსეულად მოამზადა გასაგზავნად; მეგობრული წერილი მისწერა იმპერატორს კონსტანტინე დუსს, რომ წერილი ჩაბარა თავის კაცს, რომლის ხელით იმპერატორს გაუგზავნა აგრეთვე ძვირფასი საჩუქრები. ნეტარს მეფის კაცს გარდა თან ახლდენ გამოჩენილი კაცი სენგიოზი, ბერ-მონაზონი პეტრე, რომელიც ოდესმე იყო პატრიკად, მთავარ-ეპისკოპოსი იოანე, ბედიელი, დიდი კაცი აარონი, და ბევრი მისი მოწაფეები. ისინი იმ დროს გამგზავნენ საქართველოდან, როცა მეფის ასული მართა ცოლად გაჰყვა კონსტანტინე დუსის შვილს; რაცა დღეოფალი მართამი გამოვთხარა ნეტარს გიორგის, გახსენა მას: „მამაო, აი როგორ აღსრულდა თქვენი წინასწართქმული, რომ მართა დღეოფალი იქნებოდა! ნეტარი თავისი მოწაფეებითურთ ჩასხდა ხოლმადში და დიდი და მწველი მოგზაურობის შემდეგ მშვიდობით მივიდა კონსტანტინეოლში.

მეორე დღესვე ნეტარა დაიბარა იმპერატორმა, რომელიც უწინაც იცოვბდა ნეტარს და ახლაც ბევრი რამ კარგი ჰქონდა მასზე გგონილი. როცა ნეტარი მეფის სასახლეში მიიყვანეს, მან თავიანი სცა გიორგინოსანს, უთხრა მოკლე სიტყვა, შეაფერხა უფლის და აკურთხა მეფე. მეფემ, რომელმაც იხილა ანგელოზის მშავისი პირი, რქე იქვე მგვამს პატრიარქსა; ემადლობა ღმერთს და მეფე ბავრატ სეფასტოს, რომ გამოგვიგზავნა ჩვენ ეა ანგელოზის მშავისი კაცი; თუქცა ის ქართველთაგანია, მაგრამ კარად და ღრმად ესმის და იციან ჩუენი საწმუჭოების და მკკლეთის ყოველივე უქა. იმპერატორს მართთვის მეფის ბავრატის წერილი, რომელიც იქვე ყველას გასაკლანთ წაიკითხა იმპერატორმა:

«უხაროდეს ღვთის მოყვარე ხელმწიფე! უგზავნი თქვენს უდიდებულესობას კაცს, მშავის უსხეულოთა სულთა, და მთელი ჩენი სამეფოსის მასწავლებელს.

მიიღე იგი, როგორც შეფერის თქვენს უდიდებულესობას. მისი ლოცვით და განამტკიცოს უფლმა ყოვლის მკერაზელმა თქვენი საქმეო.»

იმპერატორადგან ნეტარი თავისს ბინაზე დაბრუნდა. აქ მიეგვება მას ათანის ივერიის მონასტრის წინამძღვარი, გიორგი ოლოთსელი, კაცი კეთილი მოქმედი და განდგეილი ცნაერებისა. მ. გიორგის ძლიერ გაეხარა ნეტარის ხილვა და შემდეგი სიტყვებით მიმართა: «ქუთახეულ არს ღმერთი! თვით უფალმა მოაგყენა შენ უკანე, აი შენი მონასტერიც შენს წინაშე».

მეორე დღეს ხელახლავ მიუწოდეს ნეტარს იმპერატორის სასახლეში, ნეტარი ივერიის მონასტრის წინამძღვართან ერთად წაიდა სასახლეში და ორივენი წარსდგენ იმპერატორის წინაშე. ხელმწიფემ აღერსიანად მიიღო ისინი და უთხრა ნეტარს: «წარსდგე, წმიდაო მამაო, შენს უწინდელს მონასტერში, სადაც იწყე შენ შენი მადეაწეობა, და განაგრძე იქ შენი ობლების აღზრდა, ასე გვეწერს ჩენი ჩენი მამა, მეფე ბავრატ სეფასტოსი». იმპერატორმა, გარდა ამისა, თხოვა ნეტარს, რომ მას წარედგინა მისთვის თავისი მოწაფეები, რათა დღესაჩუქრებია ისინი, რითაც საჭირო იყო და მისთან აღუთქვა ნეტარს ყოველივე თხოვნის აღარულებას; შემდეგ იმპერატორმა უბრანა ნეტარს, რომ იგი მშვიდობით გამოგზავრებულყოფო ათანზე და მასთან რქვა: „რაც რამ დაჯაკლდეს შენ, მამაო, დაუყოვნებლივ მაცნობე მე, და მე აღვისრულებ შენ». იმპერატორის ამგვარი აღთქმით დამედებულნი ნეტარი თავისი თანამოგზაური-თურთ დაბრუნდა სახლში. ნეტარმა თავისი მოწაფეები წარუდგინა იმპერატორს თანახმად მისი ბრძანებისა; იმპერატორმა მადლობა უძღენი ნეტარს და შეაქა იგი, როგორც ბერძნული ენის და განათლების გამავრცელებელი ქართველთა შორის. შემდეგ ხელმწიფემ ნეტარის მოწაფეებს აჩუქა ათასი ოქრო.

ნეტარი თავის მოწაფეებითურთ დაბრუნდა შინ. ის იყო დამდებოდა. მეორე დღეს, 29 ივნის, დღით ოთხმავათს პეტრე-პავლოზა იყო, ჩვეულებისა მებრსაღაოთი შესრულდეს მწუხრა, ნეტარმა ყველანი დაითხოვა დასასვენებლად და თვითონ თავის ქვეშაგებელში ჩაწვა, დაწალის წინ მხოლოდ ცოტადღენი რაღაც სასმელი დაღაა.

გათენდა სადღესასწაულო დღე, ოთხშაბათი; დიდის ამბით შედარულეს ცისკარი. შემდეგ ნეტარმა დაუხანა თავისთან ძმებს და უთხრა მათ: «დადგა დღე ჩემი იმ ქვეყნად წასვლისა, და ამიტომ გთხოვთ, ყველანი ანუკეყოთ და მზახდინათ საქორა განკარგულება, რომ ჩემი სიყვილის შემდეგ დასულ და აღსრულებულ იქმნეს ყოველივე წესი. იმ დროს ზოგიერთი ძმები სხვაგან იყვნენ, ისინი წასულიყვნენ პეტრე და პავლეს ტაძარში, ხოლო ზოგნი სახლებში იყვნენ».

დღის მესამე საათზე ნეტარმა ბრძანა ანთოთ წმიდა თაფლის სანთლები, ეკმათ და ოთხს მკითხველს უბრძანა წმ. სახარების კითხვა რიგ-რიგობით თავიდან ბოლომდის; სახარების კითხვის დროს ნეტარი ლოგინში იყო წამოამჯდარი და ისმენდა სახარებას, როცა უკანასკნელმა მკითხველმა გაათავა სახარება, მას ჯკარი გადასახა და რქვა: «დადგა შენდა უფალო!» მიიხედა და იქვე დიანახა ჭურჭელი და იკითხა: «რა არის ეს?» ეს იყო ყუთი, რომელშიაც ინახებოდა ბერ-მონაზონთა ფულები მათი საქორებისათვის, და ეს ყუთი ფულებით მიზარებული ჰქონდა ერთ ბერს, რომელიც სალოაკავად წასულიყო მოციქულთა ტაძარში და ყუთი კი, რომ შიგ არაფერი არ დაკარგულიყო, ფარულად მიეტანა და ნეტარის მანლობლად დაედგა. შემდეგ წმადნამ დარიგება მისცა ძმებს, რომ მასგან დადგენილი წესები აღსრულებიათ. ნეტარს უყვარდა განმარტობული ცხოვრება და თავისი ვადაცეალების დროსაც არა სურდა, რომ რაიმე ხმაურით მომხდარიყო. ამიტომ ყველას სთხოვა, ჩუმათ ყოფილიყვნენ. ბოლოს გამართა ვეგება, ჯერას სახეზედ ვაიკეთა ხელები და, ცოტა ხნის შემდეგ, გამოისახა პირჯვარი. ნეტარს დასუსტებულ პარის სახეზე ცოტადენი ოფლი მოუვიდა; უკანასკნელად წარმოსთქვა ნეტარმა უფლის სიტყვები: «ხელთა შენთა, უფალო, განუტყევე სულსა ჩემსა», ღრმად ამოიხარა და განუტყევა თავისი წმიდა სული ღვთის წინაშე 1066 წელში, შობიდან 52 წლისამ.

როგორც კი ნეტარი გარდაიცვალა, ძმებმა დაუყონებლივ აცნობეს ეს პეტრე ბერს, რომელიც იყო პატრიკი. პეტრე წაივდა სასახლეში და ყოველივე აცნობა ხელშეიწვეს და მასთან მოახსენა მას: «მშვიდობა შენს სამეფოს, და საუკუნო

სიხარული შენ შენი შვილებით! ის წმიდა მახსოვს, ბერი, რომელმაც გუშინ წარმოვიდგინა 80 ობოლი და ჩააბარა იგინი თქვენს მხრუნველობას, დღეს წარსდგა ღმერთთან. შენ, მეუფეო ქვეყნისაო, წარგზავნე იგი ზეცაურ მეფესადში! გუშინ ამა დრას ის გეთხოვებოდა შენ, და დღეს, განშორდა თავის სხეულს, და ყველასგან მიიღო რა მიტევევა, მიუხლოვდა ღვთაებრივ ნათესავდურს. გუშინ იგი ეთხოვდა შენ მოწყალებას თავისა ობლებსათვის, დღეს კი იგი ევედრება შენთვის ობოლთა მამას, ძვირითა მფარველი, ქვეყნაურ მეფეთა უფროსს».

იმერატორის ცრემლები წამოუვიდა, ცოტა ხანს დაფიქრდა და სთქვა: «დიდება შენდა, უფალო ღმერთო, რომ სული ნეტარის მახსოვებულის გიორგისა, სხვათა მართალთა სულის მსგავსად, მიიღე შენს სავანეში ნეტარ ხარ შენ, წმიდაო მახსოვებულო, რომ წარვედ ღვთასადმი, იმედი მაქვს შენი წმიდა ედრებისა, რომელიცა შემეწყება მე; ყველას შენს სურვილს დაუბრკალებლათ აღვხარულებ». იმერატორმა ბრძანა მიეტყნათ თხოვნა, რომელიც მას ნეტარმა მართავა; ამ თხოვნაში ეწერა:

«ღვთის მოყვარეო ხელმწიფე, მიიღე შენს მფარველობას ქვეშე ეს ობლები, როგორც შეშენის შენს უღიდებულებობას, რათა ისინი ევედრონ შენთვის უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს შენი შვილების კეთილდღეობისათვის და ჩენნი ათონის ივერიის მონასტრის განმტკიცებისათვის გებოძე მეფური ღრამა (დაამტკიცე იგი ოქროს ბეჭედით), რომ ეს ჩენი მონასტრი იყოს თავისუფალი, და ეს ობლები იზრდებოდნენ და ინახებოდნენ მასში და ყოველივე ამისათვის მონასტერში მცხოვრებნი სამუდამოდ ევედრებოდნენ ღმერთსა შენთვის». როცა იმპერატორმა ამ თხოვნის წაკითხვა გაათავა, თავისი ყურადღება მიჰქცია თხოვნის საგანს და მაშინვე უბრძანა თავის პირველ მდივანს შეეღვინა ორი მეფური სიგელი და ზედ დაეკრა ორი ოქროს ბეჭედი, ერთი სიგელი უნდა ყოფილიყო, როგორც ნეტარი თხოულობდა, დამამტკიცებელი ყველა სიგელებისა, რომელიც მონასტერში იმეკონებოდნენ და რომელიც ძალი უნდა ჰქონოდათ შემდეგ დროსაც, რომ არავინ შეცილებოდა მონასტრის უფლებას; ხოლო მეორე-ობლებისათვის; უკანასკნელი სიგელის ძალით არავის არ შეეძლო და ეცრც უნდა გაეშედა ამ ობოლთა ივერიის მონასტრიდან დათხოვნა, ანუ

რამე ენებრს მიყენება მათთვის, ასე რომ სწებებულნი ობლები უნდა აღზრდილიყვნენ და ეცხოვრათ, როგორც ეკლესიის შვილო, მონასტრის ხარჯით.

ხელწიფევმ ორივე ეს სიგელი ჩააბარა ბერის პეტრეს, რომელსაც ავრთივე, ფულუმბგარდა, მისცა მრავალი სანთელი და საქმეველი.

პეტრემ—მიილა ყოველივე ხელწიფვისაგან და აღასრულა ყოველივე ისე, როგორც ნაბძანები ჰქონდა.

მომავლდეს კუბო მავარი ხის ფიკრებისაგან, რომელშიაც პატრიის ცემით ჩასხვენეს წმიდანის გვაში და მიახვენეს ხოლმადზე. ყველა ძმები და ყველა ობლები და მოწაფენი დასხდნენ იმავე ხოლმადზე და გაეგზავნენ ათონზე. როცა მოგზაურნი მიუახლოვდნენ ადგილს, რომელსაც ეწოდებოდა ეკსამინი, ხოლმადი გაჩრდა; ხოლმადიდან გადმოახვენეს ნეტარის კუბო და ხმელეთით წაიღდნენ, რადგან აქედგან ზღვით მოგზაურობა საშუაო იყო. ხმელეთით წაიღდნენ ისინი იმ ადგილამდე, სადაც იმათ იგივე ხოლმადი უტლიდა ექვსი მილის მოშორებით.

ერთ დიდ ურემზე დაახვენეს კუბო, რომელშიაც წმიდანის გვაში ესენა, ამავე ურემზე დააწყვეს ყველა წიგნები და კუთვნილებანი ნეტარისა; ყველა ძმები გარს შემოუღვენ ურემს და ამ სახით წაიღდნენ. ურემის წინ მიდიოდნენ მთავარ-ლიაკენები, უკან მღვდლები, აქეთ-იქით დანარჩენი ძმები და ობლები, რომელიც გლობობით და ღიღებით მიასვენებდნენ წმინდა მამის გეამს.

მონასტრის ძმებმა პეტრე ბერის ურენებლად ვერ დანიშნეს ადგილი წმიდანის გეამის დასაქრძალად და ამიტომ ნეტარის გეამი პირველად დარჩა დაუმარხავად წმიდა ექვთიმეს სასაფლაოს მახლობლად, ხოლო სამი დღის შემდეგ წმიდანის გეამი გადასვენეს ყველა წმიდანთა ტაძარში, სადაც ესენა მთელი წელიწადი. მონასტრის ძმები ელოდნენ ბრძანებას და ადგილის ჩვენებას პეტრეს და ივერიის ქათალიკოსის იოანე III-საგან.

სწორეთ ერთი წელი გავიდა, როცა მონასტრის ყველა ძმები და ხსენებული პეტრე ბერი ერთმანეთში მოთანხმდნენ და ქათალიკოსის ბძანებით ივერიის მონასტრის წინამძღვარმა გიორგი ოლთისელმა ახლა თავი კუბოს და, ყველას განსაცვიფრებლად, ნეტარის გეამი სრულიად უხრწელი ნახეს. შემდეგ ხსენებული ტარდიდან წმიდანის გეამი დიდის ამათი გაღ-

მოსვენეს საკრებულო ტაძარში და ჩასვენეს მარმარილოს ლუსკუმაში წმ. ექვთიმეს ლუსკუმის მახლობლად, 29 მაისს წმ. სიმეონის საკირეველი და სასწაულთმოამქმედის ხსენების დღეს, და პეტრე ბერის, ქათალიკოსის იოანეს და საქართველოს მთელი ეკლესიის თანხმობით დაწესდა იღვთისაწაულონ ნეტარის ხსენება ყოველ წლობით ამ დღეს.

პატრიარქმა და პეტრე ბერმა გააკეთებინეს ძვირფასი ხატი მღვთის-მშობლისა, რომელიც წარმოადგენს ქალწულს, მჯღღობარეს ტახტზე და ხელო უბერია საუტურა ძე. ხატის მარჯვენა მხარეზე დაწერილია წმ. ექვთიმე, ხოლო მარცხნით წმიდა ნეტარი გიორგი, დამამშვენებელი ჩვენი ეკლესიისა და სასახლისა, — და მონასტრის ბერებს უბრძანეს ეს ხატი დასვენებულით წმიდანთა ორ ლუსკუმის შორის და მის წინ ჩამოეკრათ გაუქრებელი ლამპარი, საღიღებლად და საქებად ყოველად წმიდა სამებისა.

(დასასრული).

შეწირულებანი.

მამაო რედაქტორო!

I

უმოწინავესად გთხოვთ ნება გეამოთ, რომ თქვენის გახუთიას საშუალებით გულისათადი მადლობა გამოუხატათ იმ ბირო, რომელსაც ჩემს შეგონებით სოფელს მათოჯვის წმიდას ვაიალას ეგველქანს შემოსწირეს შედეგი საეკლესიო ნათება: ყარაბან ოფირცხაგეამ ხატო ღვთისმშობლისა, დარბეული 15 მანეთად., ზღუქნი ლეკანს ძე მელაძემ ერთი დადა განდელი, დარბეული 25 მანეთად., და ტრანკუზენ დასადგეული ჟუგრი 15 მანეთისა., მეტა ბეროს ძე და ვლადიმერ კაცის ძე კახსანიძეებმა ორი დიდოთან შანდლები დარბეულიათ მანეთად. დამიტრა კახსანიძემ გვირგვინი დარბეული 15 მან. ზღუქნი ბურჯუას ძე მელაძემ გარდამოსხსნა დარბეული 120 მან., ავათი გრიგორის ძე დარბეულია გარდამოსხსნა დარბეული 50 მან.,

სოფლის მათოჯვის ეგ. მღვდელი ივანე მელაძე.



II

მ. რ. ნება მიბოძეთ, რომ თქვენის პატივცემულის გამოცემის საშუალებით უგულისათვისა მადლობა გამოუცხადო ქ. ოლღა პავლია ასულის ხმალამეს და მკორე გილდის ვაჭარს ივანე მარკოზის ძეს ხუნწარისა, რომელთაგან პარკელმა შემოსწარა რწმუნებულს ჩემდამი და ახალ-სენაის წმ. გიორგის ეკლესიას ერთი ახლის გერცხლის სარტესლური, ხოლო მკორემ ახლის გერცხლისაგე ჟვარი.

ბლაღოჩინი მღ. მ. არისტარხოს კალანდარიშვილი.

III

მ. რ. უმორწილესად გთხოვთ ნება გვაბოძოთ, რომ თქვენის უმრწამოსი შემწეობისა საშუალებით უგულისათვისა მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც ჩემდამი რწმუნებულს ეკლესიასა შემკენების საქმეში მონაწილეობა მიიღეს: აზ. ნარძინა სუგარელიძემ, ხის სამრეკლო მთაშენა ეკლესიასზედ, რის გამო დახარჯა 10 მანეთი; აზ. იოსებ ალექსანდრეს ძე გუნტაძემ ზემოსხენებულის სამრეკლოს აღსაშენებლად 15 მან. ხის მისაღა, აზ. სიმონ გურგაძის მეუღლამ მაგია ალაძის ასულმა მარტყოზის ხატა, დარბეული 3 მან., მისაილ დაჯიოთს ძე არბაძემ და მისმა მეუღლამ, ორა წმ. ნინას ხატა, დარბეული 3 მან. და მასთან აღმოთქვეს 35 მან. ბარბამი-თეშუმის მისაბოძებლათ, დარბეულს კანთელამის ქალმა ჟვარცხმის ხატა, დარბეული 12 მანეთისა.

მღვდელი ანტონ კვინტრიშვილი.

IV

მ. რ. უმორწილესად გთხოვთ, ნება გვაბოძოთ, რომ თქვენს პატივცემულისა «მეუქმისის» საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც ჩემდამი რწმუნებულს ძველი ოთენის ახალ აღშენებულის მთავარ-ანგელოზის ეკლესიასა შემწეობა აღმოუწინეს. აი სია შემომწირველთა: მღვ. ნიკოლოზ ჩაჩუას ქვრივმა კლისაბედ სუბაძის ასულმა 23 მანეთად დარბეული გუმბათში ჩამოსხვიდებული განკელი, გიორგი ჩაჩუას ქვრივმა მარამ შაიჭაძის ასულმა გუგუთსზედ დასამელი ჟვარი, დარბეული

15 მან., ივანე სანიავისა ქვრივმა მენაქო ხუნდაძის ასულმა ტრამპუნის გადასთარბეული ფარხა, დარბეული 10 მან., ალექსანდრე მადლობელის მეუღლამ მამაძის ასულმა სანარბა დარბეული, 20 მანეთისა და მასთან ერთი თუმანა იფუჯად, პირინდინიას ლევა ტინტაძის ქვრივმა მზესხ ნაფეტყარიძის ასულმა ჟვარა, დარბეული 5 მან., ნიკო ნიკოლეიშვილის მეუღლამ ატატო ნაფეტყარიძის ასულმა ჟვარი, დარბეული 5 მან., ქვრივმა მარამ ბასტაძის ასულმა სარტესლურა, დარბეული 1 მ. 20 კ., ქვრივმა ევა ზურაბიას ასულმა სარტესლურა, დარბეული 1 მ. 20 კ., გუგუან ტინტაძის მეუღლამ 1 მან., რკინის გზას მოსამსხურემ აჩუნ ჩაჩუამ შინაღა, დარბეული 25 მ. და მასთან მთავარ-ანგელოზის ხატა ჩსკა მშვენიერ რამეშა, რომელს გაკეთებაზე დაესწრა 25 მ., ჟარბამი ამდღობელმა—3 მ.

განუგრებთ, რომ ზემორე აღნიშნულ პირთა მკათალითისთვის სხუესაც შეაბამოს.

მღვდელი ლევა ჩაჩუა.

«მეურნის» რედაქციამ

ხელის მომწერთა უმრავლესობის თხოვნისა მკრ გადასწერეთა უსასყიდლოდ შეუტყოს საჭირო ცნობებთ (სპრავები)

ძუთაისში, როგორც მმართველობის, ისე საზოგადოებრივის და წოდებრივის

შ ო მ მ ლ - მ მ ვ ა რ დ ა წ მ ს მ მ უ ლ მ ბ ა შ ი

იმ ხელის მომწერთ, რომელნიც სოფლად სტროგრებენ და წოდებთ ფასა (სუთი მანეთი)

მთლხდ შემოტანილი ექმნებთ

ცნობის (სპრავკის) შეტყობის თხოვნამღ.

პანსებისთვის უნდა გამოგზავნოს ჯეროვანი ფასის ფოსტის მარკა.

წერილები უნდა გამოგზავნოს ამ აღრესით: ვხ Кутаиси, в редакцию газеты «Меурна».

დამზღვევი საზოგადოება

„ნიკორი“

(ღ შ შ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს გარდა სხვადასხვა ფულისა.

დაზღვევა სხსლისაგან,

მიიღება ყოველნაირი მოძრაობისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსადების საქონლისა.

დაზღვევა სიკაცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიღება დაზღვევა სიკაცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის. როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაზღვრილგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში კი, თუ მამა აღარ მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ემაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და დანიშნულ ეა-

ლის გასვლის შემდეგ-კი თვათ დაზღვეული თანხაც—10,000 მან.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, კავკასის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ეგლია-მინოვის ქუჩაზედ № 2) და იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-6 განყოფილების გვერდით, სახლი ალფლოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. 6

ი ს შ ი დ მ ბ ა

ქანდაკარის ნივთების მაღაზიაში

ი. მურადოვის—ქუთაისში

ყოველგვარი რეუელები

პირველი ღირსების ასი ცალი ღირს 3 მან.

მეორე > > > » 2 მან.

ატრეტე სხვა და სხვა ამ გვარი ნივთები ისყიდებიან ფრიად იაფად.

შ ი ნ ბ ა რ ს ი. თამარ დიდი და მისი სახელწოდება.—„მუყემისი“ კორესპონდენცია სოფელ ზაყიდან.—ორი სახარალო.—სომხთა პატრიარქის სიტყვა.—კალამი (დექსი).—ასალი ამბები და შენიშვნები.—გოორგი მოწმინდელის ცხოვრების აღწერილობა.—
შეწარულება.
განცხადება.